შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრი ეკოლოგი"

ს/ნ 204554945 მის: ქ. თბილისი ლარსის შესახვევი №5

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

ვაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრი ეკოლოგი" გეგმავს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვების მიმდებარედ არსებული სამედიცინო ნარჩენების ინსენერაციის საწარმოს წარმადობის გაზრდას.

ამ მიზნით კომპანიას სურს ექსპლოატაციაში გაუშვას წინას აგრეგატთან (კომპანია INCINER8-ის 18-40S მოდელი) შედარებით თითქმის 10-ჯერ მაღალი წარმადობის დანადგარი, ინსინერატორი "WFS-300", რომელიც წარმოებულია ჩინეთში და რომლის ეკოლოგიური მაჩვენებლები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის (პუნქტი12.) მიხედვით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება, სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის დადგენილი მოთხოვნები.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრი
02 + სოფლისა
22 12 2020
2/CD

მიგვაჩნია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, კერძოდ, წარმადობის გაზრდა საჭიროებს (აუცილებელია) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემას.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს წარმადობის გაზრდის სკოპინგის ანგარიშს.

დანართი:

- სკოპინგის ანგარიში 29 გვ;
- კოორდინატები (Shape ფაილების სახით).

პატივისცემით,

დირექტორი
ვახტანგ წერეთელი

თარიღი: 22 დეკემბერი, 2020 წ